საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა №06-01/19

ქ. ბათუმი 2 მარტი, 2020 წ.

,,ბსუ-ში დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიან (ინგლისურენოვან) საგანმანათლებლო პროგრამაზე 2019-2020 სასწავლო წლის ორგანიზებულად წარმართვის შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2019 წლის 13 სექტემბრის N06-01/109 დადგენილებაში დამატებების შეტანის თაობაზე

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, 33-ე მუხლის მე-4 პუნქტისა და ბსუ-ს წესდების მე-8 მუხლის მე-4 პუნქტის და ბსუ-ს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის დეკანის 2019 წლის 20 ნოემბრის MES 1 19 01587470 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე, აკადემიურმა საბჭომ

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. ,,ბსუ-ში დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიან (ინგლისურენოვან) საგანმანათლებლო პროგრამაზე 2019-2020 სასწავლო წლის ორგანიზებულად წარმართვის შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2019 წლის 13 სექტემბრის N06-01/109 დადგენილებაში შევიდეს ცვლილებები, კერძოდ:

ა) პირველი პუნქტის ,,ბ-ე“ ქვეპუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,ბ) შემოდგომის სემესტრის ძირითადი საგამოცდო სესია ჩატარდეს 2020 წლის 24 თებერვლიდან 28 მარტის ჩათვლით;

გ) შემოდგომის სემესტრის დამატებითი საგამოცდო სესია ჩატარდეს 2020 წლის 30 მარტიდან 4 აპრილის ჩათვლით.

დ) გაზაფხულის სემესტრის სააუდიტორიო სამუშაო დაიწყოს 2020 წლის 6 აპრილს და დასრულდეს 2020 წლის 25 ივლისს;

ე) გაზაფხულის სემესტრის ძირითადი საგამოცდო სესია ჩატარდეს 2020 წლის 27 ივლისიდან 15 აგვისტოს ჩათვლით;

ვ) გაზაფხულის სემესტრის დამატებითი საგამოცდო სესია ჩატარდეს 2020 წლის 17 აგვისტოდან 22 აგვისტოს ჩათვლით.“;

ბ) 1^2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,1[2]. ბსუ-ს დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიან (ინგლისურენოვან) საგანმანათლებლო პროგრამაზე მე-2, მე-5 და მე-6 ნაკადზე ჩარიცხული სტუდენტებისათვის **2020 წლის გაზაფხულის სემესტრის** (2020-2021 სასწავლო წლის პირველი სემესტრი) სასწავლო პროცესის ვადები (აკადემიური კალენდარი) განისაზღვროს შემდეგნაირად:

ა) გაზაფხულის სემესტრის სააუდიტორიო სამუშაო დაიწყოს **2020 წლის 6 აპრილს** და დასრულდეს 2020 წლის 25 ივლისს;

ბ) გაზაფხულის სემესტრის ძირითადი საგამოცდო სესია ჩატარდეს 2020 წლის 27 ივლისიდან 15 აგვისტოს ჩათვლით;

გ) გაზაფხულის სემესტრის დამატებითი საგამოცდო სესია ჩატარდეს 2020 წლის 17 აგვისტოდან 22 აგვისტოს ჩათვლით.

2. ბსუ-ს რექტორის ბრძანებით განისაზღვროს 2019-2020 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრში სასწავლო პროცესის წარმართვის საკითხი (ელექტრონული სწავლება, სტუდენტთა კონსულტაცია და სხვს), წინამდებარე დადგენილებაში ცვლილების შეტანის გარეშე.

3. დადგენილება საჯარო გაცნობისათვის განთავსდეს ბსუ–ს კანცელარიასთან და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის დეკანატთან თვალსაჩინო ადგილზე, ბსუ–ს ვებგვერდსა და ოფიციალურ ფეისბუქ-გვერდზე.

4. დადგენილების კონსოლიდირებული ვერსია მომზადდეს ბსუ-ს იურიდიული დეპარტამენტის მიერ და მისი ინგლისურ ენაზე თარგმნის შემდეგ განთავსდეს ბსუ-ს ვებგვერდზე (როგორც ქართულენოვანზე, ასევე ინგლისურენოვანზე).

5. დადგენილება დაეგზავნოს ბსუ-ს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელს, რექტორის მოადგილეებს, ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, სასწავლო პროცესის დეპარტამენტს, იურიდიულ დეპარტამენტს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს და საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს.

6. დადგენილება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,
რექტორი, ასოცირებული პროფესორი **მერაბ ხალვაში**